# შპს სტარდი
# 212921926

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება**

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) მიხედვით

## სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ანგარიშგება ხორციელდება ერთეულ ლარებში

| | 2019 წელი | 2018 წელი | 2017 წელი |
|---|---|---|---|
| | *ლარი* | *ლარი* | *ლარი* |
| **აქტივები** | | | |
| *მიმდინარე აქტივები* | | | |
| ნაღდი ფული | 100,420 | 27,836 | 178,624 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 1,245,292 | 873,583 | 591,608 |
| გადახდილი ავანსები | 1,601 | 3,865 | 6,476 |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები | 197,409 | 206,268 | 358,254 |
| ***სულ მიმდინარე აქტივები*** | **1,544,722** | **1,111,552** | **1,134,962** |
| გრძელვადიანი აქტივები | | | |
| არამატერიალური აქტივები | 560 | 1,897 | 3,234 |
| ძირითადი საშუალებები | 1,616,744 | 969,586 | 501,800 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | 265,424 | |
| ***სულ გრძელვადიანი აქტივები*** | **1,617,304** | **1,236,907** | **505,034** |
| **სულ აქტივები** | **3,162,026** | **2,348,459** | **1,639,996** |
| **ვალდებულებები და კაპიტალი** | | | |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 753,791 | 610,375 | 598,849 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | | 8,696 | 9,370 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 33,936 | 19,668 | |
| ***სულ მოკლევადიანი ვალდებულებები*** | **787,727** | **638,739** | **608,219** |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 751,023 | 457,513 | 0 |
| ***სულ გრძელევადიანი ვალდებულებები*** | **751,023** | **457,513** | **0** |
| საკუთარი კაპიტალი | | | |
| შპს კაპიტალი | 2,000 | 2,000 | |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | 1,621,276 | 1,275,665 | 1,031,777 |
| ***სულ კაპიტალი*** | **1,623,276** | **1,277,665** | **1,031,777** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | **3,162,026** | **2,373,917** | **1,639,996** |

შპს სტარდის დირექტორი
ბადრი ღვინიანიძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

**ანგარიშგება ხორციელდება ერთეულ ლარებში**

| | 2019 წელი<br>*ლარი* | 2018 წელი<br>*ლარი* |
|---|---|---|
| **ამონაგები** | **9,895,039** | **8,386,705** |
| საქონლის გაყიდვიდან | 9,687,394 | 8,320,480 |
| მომსახურების გაწევიდან | 207,645 | 66,225 |
| **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება** | **-8,444,033** | **-7,298,761** |
| საწყისი მარაგები | -206,268 | -358,254 |
| მარაგების შესყიდვა | -8,435,174 | -7,146,775 |
| საბოლოო მარაგები | 197,409 | 206,268 |
| **საერთო მოგება** | **1,451,006** | **1,087,944** |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **-966,376** | **-770,982** |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -523,844 | -481,123 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | -39,952 | -44,087 |
| საპროცენტო ხარჯი | -78,505 | -28,429 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -324,075 | -217,343 |
| **საოპერაციო მოგება** | **484,630** | **316,962** |
| მოგების გადასახადი | -5,862 | -3,600 |
| **მოგება/ზარალი** | **478,768** | **313,362** |

| | | |
|---|---|---|
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) | 1,277,665 | 1,031,777 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | -133,158 | -69,474 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | 478,768 | 313,362 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | | 2,000 |
| *საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს* | 1,623,275 | 1,277,665 |

შპს სტარდის დირექტორი
ბადრი ღვინიანიძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

ა) შპს სტარდი რეგისტრირებულია 2009 წლის 4 ნოემბერს. მარეგისტრირებელი ორაგონო - ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია.

ბ) საწარმოს იურიდიული მისამართია - საქართველო, ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N110; ფაქტობრივი მისამართია - საქართველო, ქუთაისი, ნიკეას მე-3 ჩიხი N8.

გ) საწარმოს საკონტაქტო მონაცემები - badritos@mail.ru; ტელ: 591330014.

დ) საწარმოს საქმიანობის ძირითად სახეს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა შოკოლადით და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით; ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი - 46362.

ე) საწარმოს არ წარმოადგენს მშობელ საწარმოს და ასევე არ გააჩნია შვილობილი საწარმო.

### 2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

საწარმო უცხოურ ვალუტაში ოპერაციებს არ ახორციელებს და შესაბამისად ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ლარში.

**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ფულს ბანკში.

**სავაჭრო მოთხოვნები**

რეალიზაცია ნაწილობრივ ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

**სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით, რომელიც შეიცავს მარაგების შეძენის და ტრანსპორტირების ხარჯებს.

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივს წარმოადგენს შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა , რომელეიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციის შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული



**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო ვალდებულებები**

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს.

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები და პრემიები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ წარმოადგენს სახელფასო დავალიანებას კონკრეტული საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

ბანკის სესხები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ხდება.

ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

სულ ხარჯები

ხარჯებს შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საოპერაციო ხარჯები (დასაქმებულთა ხელფასი, ცვეთა, საპროცენტო ხარჯები და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.

## მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით მოიცავს განაწილებულ დივიდენდზე და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა დასაბეგრ ობიექტებზე (მაგ: მიკრო მეწარმის მიერ გაწეული მომსახურება) გაანგარიშებულ გადასახადს.

## დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

## ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2020 წლის 25 სექტემბერს.

შპს სტარდი (ს/ნ 212921926)

დირექტორი: /ბადრი ღვინიანიძე/

ბუღალტერი: /ზაზა კლდიაშვილი/